



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3

“სანკტ-პეტერბურგის კოლექციის ქართულ-ბერძნული ხელნაწერი: ტრადიცია და ინოვაცია”

31 მარტს, 17:00 საათზე კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა პროექტის “სანკტ-პეტერბურგის კოლექციის ქართულ-ბერძნული ხელნაწერი: ტრადიცია და ინოვაცია” პრეზენტაცია.

პროექტი ეხებოდა რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (სანკტ-პეტერბურგში) დაცული ბერძნულ-ქართული ხელნაწერის (0.1.58) ფუნდამენტურ შესწავლას.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით გამოსაცემად მომზადდა ხელნაწერებში დაცული ქართული და ბერძნული ტექსტები, დაიწერა გამოკვლევა როგორც ტექსტების, ასევე ხელნაწერში დაცული მინიატურების მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების შესახებ.

სანკტ-პეტერბურგის ქართულ-ბერძნული ხელნაწერი უნიკალურია თავისი შედგენილობით. არც ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში და არც ბიზანტიურში არ მოიხსენიება სხვა მსაგავსი ტიპის ნუსხა. ამიტომაც ინოვაციური კრებულია და სიახლეა. ხელნაწერში დაცული ტექსტები ლიტურგიკული, თეოლოგიური და სამეცნიერო მნიშვნელობისაა. მრავალმხრივ განსწავლული პიროვნებისთვის არის შექმნილი.

ხელნაწერი თარიღდება მე-15 საუკუნით და ეტაპობრივი მნიშვნელობისაა. ასახავს ბიზანტიურ და პოსტბიზანტიურ ტექსტობრივ და მხატვრულ აზროვნებას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ხელნაწერი შექმნილია სამცხის საათაბაგოს სკრიპტორიუმში ცნობილი ისტორიული პიროვნების ყვარყვარე ათაბაგისთვის, რომელიც გამორჩეული ფიგურაა თავის ღვაწლით. ხელნაწერის შექმნაში მონაწილეობდნენ პონტოდან გადმოსახლებული ბერძენი მღვდელ მონაზონი, რომელიც შემდგომში აწყურის ეპისკოპოსი გახდა და ქართველი მწიგნობარი. ხელნაწერი ორი კულტურული ტრადიციის ბერძნულ-ბიზანტიურის და ქართულის ერთიანობაა და პოლიტიკური თვალსაზრისთაც მნიშვნელოვანია, რადგან ათაბაგების პოლიტიკური მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული პოსტბიზანტიური ტრადიციების გაგრძელების მცდელობასთან როგორც პოლიტიკურ ისე ლიტერატურულ ასპარეზზე. ხელნაწერში ასახულია ათონის მხატვრულ-იკონოგრაფიული სტილის გავლენა და იმავდროულად ინოვაციური სტილი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

მარიამ ჯაბიძე

mariamjbidze@gmail.com

598 175 777; 577 977 199

თამარ გურგენიძე

friends@manuscript.ac.ge

599 899 628

ხელნაწერი მნიშვნელოვანია პოსტბიზანტიური ბერძნული ენის ისტორიისთვისაც. ორენოვანი ხელნაწერიკრებული საინტერესო მაგალითია ბერძნულ ქართული კულტურული ურთიერთობებისა, რომელშიც თვალნათლივ გამოჩნდა, როგორც ამ ეპოქის თვალთახედვით გააზრებული ბრწყინვალე საუკუნეების შემოქმედებითი გამოცდილება, ასევე თანადროული მხატვრული აზროვნება. ქართულ-ბერძნული ხელნაწერის გაფორმებაში ნათლად აისახა იმდროიდელი ქრისტიანული სამყაროს მხატვრული გემოვნება, ტრადიციისადმი ერთგულება, იკონოგრაფიული და სტილური თავისებურებანი და ის ძიებები, რაც ლიტერატურულ და მხატვრულ შემოქმედებას წინსვლისაკენ უბიძგებდა.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

მარიამ ჯაბიძე

mariamjavidze@gmail.com

598 175 777; 577 977 199

თამარ გურგენიძე

friends@manuscript.ac.ge

599 899 628